ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა №96/გ

ქ. მცხეთა

7 ივლისი 2014 წელი

ერთის მხრივ, მცხეთის მუნიციპალიტეტი, შემდგომში „შემსყიდველი", წარმოდგენილი მუნიციპალიტეტის გამგებლის გივი გიუტაშვილის სახით და მეორეს მხრივ შპს „კრიბჭე 2009", მისი დირექტორის მარიამ ლომაშვილის სახით, შემდგომში „მიმწოდებელი", ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას (წარმომადგენლობითი ხარჯი) შემდეგზე

## 1. ხელშეკრულების საგანი

1.1. სტუმრების სადილით მომსახურება ; (CPV:55300000).

## 2. მომსახურების ვადა და ღირებულება

2.1 მომსახურების ვადაა 2014 წლის 7 ივლისი.
2.2 ხელშეკრულების საერთო ღირებულებაა 253 (ორასორმოცდაცამეტი) ლარი.

## 3. ანგარიშსწორება

3.1 ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით.

## 4. მხარეთა უფლება – მოვალეობები

4.1 „მიმწოდებელი" ვალდებულია:
4.1.1 უზრუნველყოს სტუმრების სადილით მომსახურება.
4.2 „შემსყიდველი" ვალდებულია:
4.2.2 უზრუნველყოს თანხის ჩარიცხვა წარმოდგენილი ანგარიშ-ფაქტურის მიხედვით.

## 5. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისას

5.1 თუ „მიმწოდებელი" არ ასრულებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს, „შემსყიდველი" წერილობითი ფორმით აფრთხილებს დაიცვას ხელშეკრულების პირობები.
5.2 ვალდებულების კვლავ შეუსრულებლობის შემთხვევაში „შემსყიდველს" უფლება აქვს განიხილოს ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტის საკითხი.
5.3 მომსახურების არაჯეროვნად ან არშესრულების და ვადაგადაცილების შემთხვევაში „შემსყიდველი" უფლებამოსილია „მიმწოდებელს" არ აუნაზღაუროს მომსახურების ღირებულება და დააკისროს პირგასამტეხლო გასაწევი მომსახურების ღირებულების 0.1%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

## 6. ხელშეკრულების ძალაში შესვლა

6.1 ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერის დღიდან.

## 7. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა

7.1 ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ფასები და უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

## 8 ფორს – მაჟორი

8.1 მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთ ვალდებულებათა სრულად ან ნაწილობრივ შესრულებაზე, თუ ეს შესრულება გამოწვეულია ისეთი გარემოებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალოდ ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე.

## 9. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

9.1 წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნეს ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.
9.2 თუ „მომწოდებელი" და „შემსყიდველი" მოლაპარაკების დაწყებიდან 10 დღის განმავლობაში ვერ შეძლებენ მოლაპარაკების საფუძველზე გადაწყვიტონ დავა, მაშინ ნებისმიერ მხარეს შეუძლია მიმართოს სასამართლოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

## 10. სხვა პირობები

10.1 ამ ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი საკითხები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.
10.2 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის თანხმობის გარეშე.
10.3 ხელშეკრულება დგება ქართულ ენაზე. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

## 11. ხელშეკრულების პირობების კონტროლი

11.1 ხელშეკრულების პირობების კონტროლს მოახდენს მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის მატერიალურ-ტექნიკური სამსახურის უფროსი კახაბერ ბურდული.

## 12. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

12.1 ხელშეკრულების მოქმედების ვადა 2014 წლის 29 აგვისტოს ჩათვლით.

## 13. მხარეთა რეკვიზიტები

*„მომწოდებელი"*
*შპს „კარიბჭე 2009"*
*ს/კოდი: 204575584*
*ბანკი: სს „საქართველოს ბანკი"*
*ცენტრალური ფილიალი*
*ბ/კ* **BAGAGE22**
*ა/ა* **GE27BG0000000877754100**

*მის: ქ. მცხეთა, მამულაშვილის ქ. №2*

*დირექტორი*

*მ. ლომაშვილი*

*„შემსყიდველი"*
*მცხეთის მუნიციპალიტეტი*
*ს/კოდი: 236094196*
*ბანკი: „ლიბერთი ბანკი"-ს*
*მცხეთის ფილიალი*
*ბ/კ* **LBRTGE22**
*ა/ა* **GE93LB0120130269077000**

*მის: ქ. მცხეთა, ანტიოქიის ქ. №7*

*მუნიციპალიტეტის გამგებელი*

*გ. გიუტაშვილი*